

საკითხის სწავლების გეგმა

კლასი: VI

თემა: კვლევითი ამოცანა

დრო: ორი გაკვეთილი

მიზანი: მოსწავლეებს განუვითარდებათ კანონზომიერებების აღმოჩენისა და კვლევითი უნარები

საჭირო წინარე ცოდნა და უნარ-ჩვევები: ნატურალური რიცხვების შეკრება, შეკრების თვისებები, კანონზომიერების მიგნება და განვრცობა, წრფივი განტოლება და მისი ამოხსნა.

მოსწავლეთა დაჯგუფების ფორმები: მთელი კლასი, ჰომოგენური ჯგუფები

სასწავლო მასალა და რესურსები: დანართები, დაფა, ცარცი, რვეული, კალამი.

საკითხის სწავლების ფაზები:

I - წინასწარ

აქტივობა №1

აქტივობების მიზანია მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურება, მოტივაციის ამაღლება და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარება, რათა მოხდეს ახალი ცოდნის კონსტრუირების ხელშეწყობა.

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს დანართს №1. დავალება სადიაგნოსტიკო დანიშნულებისაა.

მასწავლებელი მოსწავლეების მიერ შესრულებულ დავალებას ამოწმებს შემოვლით, საჭიროების შემთხვევაში აძლევს მათ მითითებებს.

დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეები განიხილავენ და ასწორებენ ხარვეზებს მასწავლებლისა და თანატოლების დახმარებით. მასწავლებელი გამოსაძახებელი ჩხირების საშუალებით იძახებს მოსწავლეებს. ისინი წერენ ამოხსნას, დანარჩენი მოსწავლეები ადარებენ თავიანთ პასუხებს და „დიახ-არა“ ბარათების გამოყენებით აფიქსირებენ თავიანთ პოზიციას. ბოლოს, მოსწავლეები ითვლიან მიღებულ ქულებს.

მასწავლებელი უსვამს მოსწავლეებს დამატებით კითხვებს:

- ⇒ როგორ მიიღება მოცემული ნატურალური რიცხვის მომდევნო რიცხვი? {ერთის მიმატებით}
- ⇒ როგორ მიიღება მოცემული ნატურალური რიცხვის წინა რიცხვი? {ერთის გამოკლებით}

პასუხები:

1. ა) 45 (1 ქულა);
ბ) 47 (1 ქულა);
გ) 45 ან 47 (2 ქულა)
2. $n + 1$ (1 ქულა)
3. $n - 1$ (1 ქულა)
4. 3-ით (1 ქულა)
5. 70 (2 ქულა)

- ⇒ რამდენით განსხვავდებიან ურთიერთმომდევნო ნატურალური რიცხვები? {ერთით}
- ⇒ დამისახელეთ ურთიერთმომდევნო ნატურალური რიცხვების რამდენიმე წყვილი. {2 და 3; 5 და 6; 12 და 13 და ა. შ.}
- ⇒ ლუწია თუ კენტი ლუწი რიცხვის მომდევნო რიცხვი? {კენტი}
- ⇒ ლუწია თუ კენტი კენტი რიცხვის მომდევნო რიცხვი? {ლუწი}
- ⇒ ლუწია თუ კენტი ორი კენტი რიცხვის ჯამი? {ლუწი}
- ⇒ ლუწია თუ კენტი ორი ლუწი რიცხვის ჯამი? {ლუწი}
- ⇒ ლუწია თუ კენტი კენტი და ლუწი რიცხვის ჯამი? {კენტი}
- ⇒

მასწავლებელი იყენებს განმავითარებელი შეფასების რომელიმე ადვილ ხერხს და ამოწმებს მოსწავლეთა მიერ საკითხის ათვისებას; საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებს უსვამს დამაზუსტებელ შეკითხვებს და აწვდის კონსტრუქციულ უკუკავშირს; ცდილობს გაითვალისწინოს მოსწავლეთა გამოვლენილი საჭიროებანი და შესაფერისი რეაგირება მოახდინოს მათზე სწავლებაში ცვლილებების შეტანის გზით.

II - განმავლობაში

აქტივობა №2

ამ აქტივობის მიზანია მოსწავლეებმა შეძლონ მოცემული რიცხვების წარმოდგენა ურთიერთმომდევნო ნატურალური რიცხვების ჯამის სახით.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს კვლევით ამოცანას. იგი მიმართავთ კლასს:

ბევრი ნატურალური რიცხვი შეიძლება გამოისახოს ურთიერთმომდევნო ორი ან მეტი ნატურალური რიცხვის ჯამის სახით. ზოგჯერ ამის გაკეთება რამდენიმე გზით არის შესაძლებელი. მაგალითად, რიცხვი 5 შეიძლება გამოისახოს როგორც $5 = 2 + 3$ (მასწავლებელი დაფაზე წერს ტოლობას) და ეს არის ერთადერთი გზა, რითაც შეიძლება მისი წარმოდგენა ურთიერთმომდევნო ორი ნატურალური რიცხვის ჯამის სახით. მისგან განსხვავებით, ასეთი ხერხით 15-ის გამოსახვა სამნაირად არის შესაძლებელი:

$$15 = 7 + 8,$$

$$15 = 4 + 5 + 6,$$

$$15 = 1 + 2 + 3 + 4 + 5. \text{ (მასწავლებელი დაფაზე წერს მოცემულ ტოლობებს)}$$

თქვენ მოგიწევთ რიცხვთა სიმრავლიდან შეარჩიოთ ისეთი ნატურალური რიცხვები, რომელთა გამოსახვაც შესაძლებელია ურთიერთმომდევნო ორი ან მეტი ნატურალური რიცხვის ჯამის სახით და წარმოადგინოთ ყველა შესაძლო შემთხვევა.

დაწერეთ თქვენი კვლევის აღწერა. თუ ამ ძიების პროცესში რაიმე კანონზომიერებას იპოვით, არ დაგავიწყდეთ მისი აღნიშვნა. შეეცადეთ ყველაფერი სრულად აღწეროთ და ახსნათ.

მასწავლებელი მოსწავლეებს წინა დავალებაში დაგროვილი ქულების შესაბამისად ანაწილებს ჯგუფებში სანიშნეების დახმარებით:

1-3 ქულა - პირველი ჯგუფი - წითელი სანიშნე

4 - 5 ქულა - მე-2 ჯგუფი - ყვითელი სანიშნე

6 ქულა - მე-3 ჯგუფი - ლურჯი სანიშნე

7 ქულა - მე-4 ჯგუფი - მწვანე სანიშნე

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დავალებებს (დანართი №2). მასწავლებელი აკვირდება ჯგუფებში მუშაობას და საჭიროების შემთხვევაში აძლევს მითითებებს.

დროის ამოწურვის შემდეგ მოსწავლეები აკეთებენ პრეზენტაციებს.

მითითებები დავალებების განხილვისთვის:

ჯგუფი №1

პასუხები:

$$3 = 1 + 2$$

$$13 = 6 + 7$$

$$15 = 7 + 8$$

$$27 = 13 + 14$$

$$39 = 19 + 20.$$

რომელი რიცხვები ვერ წარმოადგინეთ აღნიშნული წესით? {8; 16; 18}

◇ ლუწია თუ კენტი ეს რიცხვები? {ლუწი}

◇ როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ წარმოადგინეთ ეს რიცხვები მოცემული წესით?

მოდი, აღმოვაჩინოთ კანონზომიერება:

ჩამოვწეროთ თანმიმდევრობით რამდენიმე ურთიერთმომდევნო ორი ნატურალური რიცხვის ჯამი:

$$1 + 2 = 3;$$

$$2 + 3 = 5;$$

$$3 + 4 = 7;$$

$$4 + 5 = 9;$$

$$5 + 6 = 11;$$

$$6 + 7 = 13;$$

$$7 + 8 = 15;$$

$$8 + 9 = 17 \text{ და ა.შ.}$$

- ◇ თითოეულ შემთხვევაში როგორი რიცხვები მივიღეთ? ლუწია თუ კენტი ეს რიცხვები? {კენტი}
- ◇ რატომ ვერ მივიღეთ ლუწი რიცხვი? {ორი ურთიერთმომდევნო ნატურალური რიცხვიდან ერთ-ერთი ლუწია, მეორე კი კენტი, ხოლო ლუწი და კენტი რიცხვის ჯამი კენტია}
- ◇ როგორ ვიპოვოთ ადვილი ხერხით, რომელი ორი ურთიერთმომდევნო ნატურალური რიცხვის ჯამია მოცემული რიცხვი? {თუ მოსწავლეები ვერ პასუხობენ, მასწავლებელი ეხმარება მათ სკაფოლდინგის საშუალებით}.

მთელი კლასი მსჯელობს, გამოთქვამენ მოსაზრებებს.

მოცემულ რიცხვს მივუმატოთ 1 და მიღებული რიცხვი გავყოთ 2-ზე, მიიღება უდიდესი რიცხვი. ან პირიქით, მოცემულ რიცხვს გამოვაკლოთ ერთი და მიღებული რიცხვი გავყოთ 2-ზე, მიიღება უმცირესი რიცხვი.

მაგალითად, ავიღოთ 79.

$$79 + 1 = 80, 80 : 2 = 40 \text{ ან}$$

$$79 - 1 = 78, 78 : 2 = 39$$

საძიებელი რიცხვებია: 39 და 40

შესაძლებელია, მოსწავლეებმა ამოხსნის ასეთი ვარიანტიც წარმოადგინონ განტოლების გამოყენებით:

მაგალითად,

$$n + (n + 1) = 15$$

$$2n + 1 = 15$$

$$2n = 15 - 1$$

$$2n = 14$$

$$n = 7 \text{ და } n + 1 = 8$$

ჯგუფი №2

პასუხები:

$$6 = 1 + 2 + 3$$

$$15 = 4 + 5 + 6$$

$$27 = 8 + 9 + 10$$

$$18 = 5 + 6 + 7$$

$$39 = 12 + 13 + 14$$

$$45 = 14 + 15 + 16$$

- ◇ აღნიშნული წესით, რომელი რიცხვები ვერ წარმოადგინეთ? {5, 13, 16, 50}
- ◇ იყოფა თუ არა ეს რიცხვები 3-ზე? {არა}
- ◇ 6, 15, 18, 27, 39 და 45 იყოფა თუ არა 3-ზე? {დიახ}
- ◇ რა კანონზომიერებას ამჩნევთ? {ის რიცხვები, რომლებიც წარმოვადგინეთ სამი ურთიერთმომდევნო ნატურალური რიცხვის ჯამის სახით 3-ის ჯერადია.}

ჩამოვწეროთ თანმიმდევრობით ურთიერთმომდევნო სამი ნატურალური რიცხვის ჯამები:

$$1 + 2 + 3 = 6$$

$$2 + 3 + 4 = 9$$

$$3 + 4 + 5 = 12$$

$$4 + 5 + 6 = 15$$

$$5 + 6 + 7 = 18$$

$$6 + 7 + 8 = 21$$

$$7 + 8 + 9 = 24 \text{ და ა. შ.}$$

- ◇ რომელი რიცხვის ჯერადია მიღებული რიცხვები? {3-ის}
- ◇ რა დასკვნას გააკეთებდით?
 - მხოლოდ სამის ჯერადი რიცხვები შეიძლება წარმოვადგინოთ სამი ურთიერთმომდევნო ნატურალური რიცხვის ჯამის სახით.
 - ნებისმიერი სამი მომდევნო ნატურალური რიცხვის ჯამი სამის ჯერადია. $n - 1 + n + n + 1 = 3n$ ან $n + n + 1 + n + 2 = 3n + 3 = 3(n + 1)$
- ◇ წინასწარ განვსაზღვრავთ, შესაძლებელია თუ არა მოცემული რიცხვის წარმოდგენა სამი ურთიერთმომდევნო ნატურალური რიცხვის ჯამის სახით? {დიახ, შესაძლებელია, თუ მოცემული რიცხვი სამის ჯერადია და მეტია 3-ზე, მაშინ შეიძლება, თუ არ არის სამის ჯერადი - არ შეიძლება.}
- ◇ ადვილად როგორ ვიპოვოთ, რომელი სამი ურთიერთმომდევნო ნატურალური რიცხვის ჯამია მოცემული 3-ის ჯერადი რიცხვი? (თუ მოსწავლეები ვერ პასუხობენ, მასწავლებელი ეხმარება სკაფოლდინგის საშუალებით.)

მთელი კლასი მსჯელობს, გამოთქვამენ მოსაზრებებს. {მოცემული რიცხვი გავყოთ სამზე, მიღებული რიცხვი იქნება მეორე შესაკრები, ხოლო მიღებულის წინა და მომდევნო რიცხვები კი - დანარჩენი ორი შესაკრები, მაგალითად: $39 : 3 = 13$, $12 + 13 + 14 = 39$.}

შესაძლებელია მოსწავლეებმა განტოლების გამოყენებით ამოხსნის ასეთი ვარიანტიც წარმოადგინონ:

მაგალითად,

$$n + (n + 1) + (n + 2) = 39$$

$$3n + 3 = 39$$

$$3n = 39 - 3$$

$$3n = 36$$

$$n = 12,$$

$$n + 1 = 13 \text{ და } n + 2 = 14.$$

შესაძლებელია ასეთი ვარიანტიც - სინჯვის მეთოდი:

ვიპოვოთ უმცირესი ნატურალური რიცხვი, რომელიც შეიძლება წარმოვადგინოთ სამი ურთიერთმომდევნო ნატურალური რიცხვის ჯამის სახით: $1 + 2 + 3 = 6$. შემდეგი რიცხვი იქნება 9, რადგან თითოეული შესაკრები გაიზარდა 1 ერთეულით და ჯამი კი 3 ერთეულით. ამრიგად, მივიღებთ: 6, 9, 12, 15, 18, 21, 24, 27, 30, 33 და ა. შ.

ჯგუფი №3

პასუხები:

$$1 + 2 + 3 + 4 + 5 = 15$$

$$5 + 6 + 7 + 8 + 9 = 35$$

$$7 + 8 + 9 + 10 + 11 = 45$$

$$19 + 20 + 21 + 22 + 23 = 105.$$

- ◇ აღნიშნული წესით, რომელი რიცხვები ვერ წარმოადგინეთ? {27, 16, 18}
- ◇ იყოფა თუ არა ეს რიცხვები 5-ზე? {არა}
- ◇ 15, 35, 45 და 105 იყოფა თუ არა 5-ზე? {დიახ}
- ◇ რა კანონზომიერებას ამჩნევთ? {ის რიცხვები, რომლებიც წარმოვადგინეთ ხუთი ურთიერთმომდევნო რიცხვის ჯამის სახით 5-ის ჯერადია}

ჩამოვწეროთ თანმიმდევრობით ურთიერთმომდევნო ხუთი ნატურალური რიცხვის ჯამები:

$$1 + 2 + 3 + 4 + 5 = 15$$

$$2 + 3 + 4 + 5 + 6 = 20$$

$$3 + 4 + 5 + 6 + 7 = 25$$

$$4 + 5 + 6 + 7 + 8 = 30$$

$$5 + 6 + 7 + 8 + 9 = 35$$

$$6 + 7 + 8 + 9 + 10 = 40$$

$$7 + 8 + 9 + 10 + 11 = 45 \text{ და ა. შ.}$$

- ◇ რომელი რიცხვის ჯერადია მიღებული რიცხვები? {5-ის}
- ◇ რა დასკვნას გააკეთებდით?

- მხოლოდ ხუთის ჯერადი რიცხვები შეიძლება წარმოვადგინოთ ხუთი ურთიერთმომდევნო ნატურალური რიცხვის ჯამის სახით.
- ნებისმიერი ხუთი ურთიერთმომდევნო ნატურალური რიცხვის ჯამი ხუთის ჯერადია. $n + n + 1 + n + 2 + n + 3 + n + 4 = 5n + 10 = 5(n + 2)$
- ◇ წინასწარ განვსაზღვრავთ, შესაძლებელია თუ არა მოცემული რიცხვის წარმოდგენა ხუთი ურთიერთმომდევნო ნატურალური რიცხვის ჯამის სახით? {დიახ, შესაძლებელია. თუ მოცემული რიცხვი ხუთის ჯერადია და მეტია 10-ზე მაშინ შეიძლება, თუ არ არის ხუთის ჯერადი - არ შეიძლება.}
- ◇ ადვილად როგორ ვიპოვოთ, რომელი ხუთი ურთიერთმომდევნო ნატურალური რიცხვის ჯამია მოცემული რიცხვი? (თუ მოსწავლეები ვერ პასუხობენ, მასწავლებელი ეხმარება სკაფოლდინგის საშუალებით)

მთელი კლასი მსჯელობს, გამოთქვამენ მოსაზრებებს.

{მოცემული რიცხვი გავყოთ ხუთზე, მიღებული რიცხვი იქნება მესამე შესაკრები, ხოლო მიღებულის წინა ორი და მომდევნო ორი რიცხვი კი - დანარჩენი ოთხი შესაკრები. მაგალითად, $105 : 5 = 21$, $19 + 20 + 21 + 22 + 23 = 105$.}

შესაძლებელია, მოსწავლეებმა განტოლების გამოყენებით ამოხსნის ასეთი ვარიანტიც წარმოადგინონ:

მაგალითად,

$$n + (n + 1) + (n + 2) + (n + 3) + (n + 4) = 105$$

$$5n + 10 = 105$$

$$5n = 105 - 10$$

$$5n = 95$$

$$n = 19$$

$$n + 1 = 20; n + 2 = 21; n + 3 = 22; n + 4 = 23.$$

შესაძლებელია ასეთი ვარიანტიც - სინჯვის მეთოდი:

ვიპოვოთ უმცირესი ნატურალური რიცხვი, რომელიც შეიძლება წარმოვადგინოთ ხუთი ურთიერთმომდევნო ნატურალური რიცხვის ჯამის სახით:

$1 + 2 + 3 + 4 + 5 = 15$. შემდეგი რიცხვი იქნება 20, რადგან თითოეული შესაკრები გაიზარდა 1 ერთეულით და ჯამი კი 5 ერთეულით. ამრიგად, მივიღებთ: 15, 20, 25, 30, 35, 40, 45, 50, 55, 60, 65 და ა. შ.

ჯგუფი №4

პასუხები:

$$1 + 2 + 3 + 4 = 10$$

$$3 + 4 + 5 + 6 = 18$$

$$8 + 9 + 10 + 11 = 38$$

$$12 + 13 + 14 + 15 = 54 .$$

- ◇ აღნიშნული წესით, რომელი რიცხვები ვერ წარმოადგინეთ? {15, 27, 16, 39, 36 }
- ◇ 10, 18, 38 და 54 - როგორია ეს რიცხვები - ლუწია თუ კენტი? {ლუწი}
- ◇ იყოფა თუ არა ეს რიცხვები 4-ზე? {არა}

ჩამოვწეროთ თანმიმდევრობით ურთიერთმომდევნო ოთხი ნატურალური რიცხვის ჯამები:

$$1 + 2 + 3 + 4 = 10$$

$$2 + 3 + 4 + 5 = 14$$

$$3 + 4 + 5 + 6 = 18$$

$$4 + 5 + 6 + 7 = 22$$

$$5 + 6 + 7 + 8 = 26$$

$$6 + 7 + 8 + 9 = 30$$

$$7 + 8 + 9 + 10 = 34 \text{ და ა.შ.}$$

- ◇ რა კანონზომიერებას ამჩნევთ? {ის რიცხვები, რომლებიც წარმოვადგინეთ ოთხი ურთიერთმომდევნო რიცხვის ჯამის სახით ლუწია, მაგრამ არ არის ოთხის ჯერადი.}
- ◇ წინასწარ განვსაზღვრავთ, შესაძლებელია თუ არა მოცემული რიცხვის წარმოდგენა ოთხი ურთიერთმომდევნო ნატურალური რიცხვის ჯამის სახით? {დიახ, შესაძლებელია. თუ მოცემული რიცხვი ლუწია, არ არის 4 ჯერადი და მეტია 6-ზე, მაშინ შეუძლებელია.}
- ◇ ადვილად როგორ ვიპოვოთ, რომელი ოთხი ურთიერთმომდევნო ნატურალური რიცხვის ჯამია მოცემული რიცხვი? (თუ მოსწავლეები ვერ პასუხობენ, მასწავლებელი ეხმარება სკაფოლდინგის საშუალებით.)

მთელი კლასი მსჯელობს, გამოთქვამენ მოსაზრებებს.

{თუ მოცემულ რიცხვს გამოვაკლებთ 6-ს და მიღებულ რიცხვს გავყოფთ 4-ზე, მივიღებთ პირველ შესაკრებს. მაგალითად, $38 - 6 = 32$, $32 : 4 = 8$, $8 + 9 + 10 + 11 = 38$.

ან, თუ მოცემულ რიცხვს მივუმატებთ 6-ს და მიღებულ რიცხვს გავყოფთ 4-ზე, მივიღებთ მეოთხე შესაკრებს. მაგალითად, $38 + 6 = 44$, $44 : 4 = 11$, $11 + 10 + 9 + 8 = 38$.}

შესაძლებელია მოსწავლეებმა განტოლების გამოყენებით ამოხსნის ასეთი ვარიანტიც წარმოადგინონ:

მაგალითად,

$$n + (n + 1) + (n + 2) + (n + 3) = 38$$

$$4n + 6 = 38$$

$$4n = 38 - 6$$

$$4n = 32$$

$$n = 8$$

$$n + 1 = 9, n + 2 = 10 \text{ და } n + 3 = 11; 8 + 9 + 10 + 11 = 38.$$

შესაძლებელია ასეთი ვარიანტიც - სინჯვის მეთოდი:

ვიპოვოთ უმცირესი ნატურალური რიცხვი, რომელიც შეიძლება წარმოვადგინოთ ოთხი ურთიერთმომდევნო ნატურალური რიცხვის ჯამის სახით: $1 + 2 + 3 + 4 = 10$. შემდეგი რიცხვი იქნება 14, რადგან თითოეული შესაკრები იზრდება 1 ერთეულით და ჯამი კი 4 ერთეულით. ამრიგად, მივიღებთ: 10, 14, 18, 22, 26, 30, 34, 38, 42, 46, 50, 54 და ა. შ.

მითითება:

მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს, არიგებს გასასვლელ ბარათებს (დანართი 1). მოსწავლეები მიცემული ინსტრუქციის მიხედვით ავსებენ ბარათებს და გაკვეთილის ბოლოს ათავსებენ ბარათებისთვის განკუთვნილ ყუთში.

მასწავლებელი მოსწავლეებს საშინაო დავალებად აძლევს ანალოგიური ტიპის დავალებას: წარმოადგინეთ ექვსი ურთიერთმომდევნო ნატურალური რიცხვის ჯამი ცხრილის სახით, აღმოაჩინეთ კანონზომიერება და გამოიტანეთ სათანადო დასკვნები.

დანართი 1

1. ორი ურთიერთმომდევნო ნატურალური რიცხვიდან ერთ-ერთია - 23. რისი ტოლია ამ რიცხვების ჯამი.
 - ა) 45
 - ბ) 47
 - გ) 45 ან 47
2. მოცემული რიცხვია n , როგორ ჩაიწერება მისი მომდევნო რიცხვი?
3. მოცემული რიცხვია n , როგორ ჩაიწერება მისი წინა რიცხვი?
4. ოთხი ურთიერთმომდევნო ნატურალური რიცხვიდან უდიდესი რამდენით არის მეტი უმცირესზე?
5. „ჩრდილების“ თეატრში სულ 5 რიგია, პირველ რიგში 12 ადგილია, ხოლო ყოველ მომდევნო რიგში 1-ით მეტი ადგილია მის წინა რიგთან შედარებით.
რამდენი ადგილია „ჩრდილების“ თეატრში?

დანართი 2

ჯგუფი №1

მოცემული რიცხვებიდან: 3, 8, 13, 15, 27, 16, 18, 39 ზოგიერთის წარმოდგენა შესაძლებელია ორი ურთიერთმომდევნო ნატურალური რიცხვის ჯამის სახით.

წარმოადგინეთ ისინი მითითებული სახით.



ჯგუფი №2

მოცემული რიცხვებიდან: 5, 6, 15, 13, 27, 16, 18, 39, 45, 50 ზოგიერთის წარმოდგენა შესაძლებელია სამი ურთიერთმომდევნო ნატურალური რიცხვის ჯამის სახით.

წარმოადგინეთ ისინი მითითებული სახით.



ჯგუფი №3

მოცემული რიცხვებიდან: 15, 35, 27, 16, 18, 45, 105 ზოგიერთის წარმოდგენა შესაძლებელია ხუთი ურთიერთმომდევნო ნატურალური რიცხვის ჯამის სახით.

წარმოადგინეთ ისინი მითითებული სახით.



ჯგუფი №4

მოცემული რიცხვებიდან: 10, 15, 18, 27, 16, 38, 39, 36, 54 ზოგიერთის წარმოდგენა შეიძლება ოთხი ურთიერთმომდევნო ნატურალური რიცხვის ჯამის სახით.

წარმოადგინეთ ისინი მითითებული სახით.

დანართი 3

გასასვლელი ბარათი

მოსწავლის სახელი, გვარი -----

წარმოვადგინე რიცხვები მითითებული სახით	აღმოვაჩინე კანონზომიერება	გავაკეთე დასკვნა	შენიშვნა

დღევანდელი გაკვეთილის საუკეთესო ნაწილი:
